განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კულტურის კვლევები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
16 ოქტომბერი, 2018
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურის კვლევები
განათლების საფეხური	საბაკალავრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კულტურის კვლევების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პროგრამა აკრედიტებულია 28/10/2011, №186 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ თორია, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა სამსონაძე, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივეირსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან. აქედან, 50 ECTS კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. დარჩენილი 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ECTS კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის.
ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი შემდეგნაირად ნაწილდება: 55 ECTS კრედიტი განკუთვნილია სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 55 ECTS კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო დარჩენილი 10 ECTS კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. სწავლების ენაა ქართული.
პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა კულტურის კვლევების ბაკალავრი. პროგრამის ძირითადი კომპონენტები უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პროგრამის განმახორციელებელ კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ვიზიტი არ განხორციელებულა. კულტურის კვლევების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, ამ შემთხვევაში, არ საჭიროებდა ადგილზე ვიზიტს. კონკრეტულად, ექსპერტებმა განიხილეს საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის 4.1 ნაწილთან.
პროგრამის გადამოწმება მოხდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. პროგრამა შეირჩა მონიტორინგის კრიტერიუმის - თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის მიხედვით. კერძოდ, „2016 წლის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გამოკვეთილია ადამიანური რესურსების ნაკლებობა - ხშირ შემთხვევაში, ერთიდაიგივე პედაგოგი კითხულობს 5-ზე მეტი სასწავლო კურს. მიზანშეწონილია, სწავლის შედეგების საფეხურების მიხედვით განვითარების მიზნების დადასტურებისათვის, შემოწმდეს სამაგისტრო პროგრამაც“.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიკაციური სპეციალისტის მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა კულტურის ფენომენის კომპლექსურ მახასიათებლებზე, კულტურის კვლევების ფართო და ინტერდისციპლინური დარგის ძირითად ცნებებზე, მიმდინარეობებზე, თეორიულ მიდგომებზე და ა.შ. კურსდამთავრებულები უნდა - შეძლონ დარგის ემპირიული კვლვის მეთოდებით ოპერირება; დაეუფლონ ინტერდისციპლინური

კვლევის მიდგომების და სხვადასხვა თეორიების საფუძველზე ემპირიული მასალის შეგროვების, კლასიფიკაციის და ანალიზის უნარ-ჩვევებს. აღიჭურვონ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც მათ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია მის მიზნებთან და განათლების საფეხურთან. კურსდამთავრებული ფლობს კულტურის კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური კვლევის სფეროს თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, იცნობს დარგის ძირითად მიმდინარეობებს და სკოლებს, ერკვევა მის საკვლევ პრობლემათა არეალში. მას შეუძლია დაინახოს მჭიდრო, მკაფიო თუ ლატენტური, კავშირები კულტურის კომპლექსურ ფენომენსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს/ასპექტს შორის (ყოველდღიური ყოფა, სოციალური და პოლიტიკური პროცესები; დამოკიდებულება წარსულთან და ა.შ.) კონკრეტული კულტურული სივრცის და ეპოქის კონტექსტში.

კულტურის კვლევების ბაკალავრს აქვს უნარი მოაგროვოს ემპირიული მასალა; შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურის კლასიფიკაცია და არგუმენტირებული ინტერპრეტაცია; მონაწილეობს საუდიტორიო თუ სხვა სახის აკადემიურ დისკუსიებში; აქვს შუალედური ნამუშევრის თუ საბოლოო-საკვალიფიკაციო ნაშრომის ზეპირად და წერილობით, შესაბამისი ფორმატის და წესების დაცვით, პრეზენტაციის და დასაბუთების უნარი. შეუძლია პრიორიტეტების გათვალისწინებით სამუშაო დროის და აქტივობების რაციონალური დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება.

კურსდამთავრებული აცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობას, იცავს ეთიკის პრინციპებს, როგორც საქმიანობაში, ასევე ინტერ-პერსონალურ ურთიერთობებში. იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, რაც გამოიხატება კულტურათაშორისი, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის და მრავალფეროვნების, ასევე განსხვავებული აზრისა და არგუმენტების ადეკვატურად აღქმაში და პატივისცემაში.

ამგვარად, კურსდამთავრებული აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მას დასაქმების ან/და შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის შესაძლებლობას აძლევს.

სწავლის მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს კვალიფიციური, აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც შედგება ერთი სრული პროფესორის, ორი ასოცირებული პროფესორის და ორი ასისტენტ-პროფესორისგან. მთლიანობაში პერსონალის რაოდენობა გონივრულ თანაფარდობაშია სტუდენტების რაოდენობასთან.პროგრამის ხელმღვანელი და პერსონალი მუდმივად ზრუნავს აკადემიურ განვითარებაზე. პროფესორები ჩართული არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგები ასახულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ აკადემიურ გამოცემებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად შექმნილ კრებულებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად („მოხდეს პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობისა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობის სრულყოფა.“), სასწავლო გეგმაში მოხდა სასწავლო კურსების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, თუმცა მითითებულია მხოლოდ "შემოდგომა" -"გაზაფხულის" ფორმატი. სასურველია, ძირითადი სასწავლო კურსების

თანმიმდევრობა დაზუსტდეს კონკრეტული სემესტრების მითითების მიხედვითაც (I, II, III და ა.შ.).

- ✓ ხშირ შემთხვევაში სილაბუსებში მითითებულია ათეულობით სავალდებულო ლიტერატურა. აქედან ყველა თითქმის მნიშვნელოვანი სტატია ან წიგნის/მონოგრაფიის ნაწილებია. ისმის კითხვა, რამდენად ესწრება ამ რაოდენობის სავალდებულო, დიდწილად უცხო ენოვანი, ლიტერატურის ათვისება საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მიერ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა პრიორიტეტის განსაზღვრა და კონკრეტული კურსისთვის ყველაზე რელევანტური ლიტერატურის დატოვება. ამ შემთხვევაში სტუდენტებს წაკითხულ ტექსტზე ჩარღმავებისთვის მეტი დრო და საშუალება მიეცემოდათ.
- ✓ სტუდენტის ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის სემესტრული შეფასების არანაკლებ 11%, რაც წინასაგამოცდო 60%-დან (60 ქულიდან) მხოლოდ 6 ქულაა. სასურველია აიწიოს გამოცდაზე დაშვების სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარი.
- ✓ კურსი „კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“ ჩასმულია, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების სიაში. თუმცა არ არის ახსნილი რატომ. მხოლოდ მითითებულია, რომ ის „დამტკიცებულია თსუ ინტერდისციპლინური კვლევებისა და სწავლების ცენტრისა და ღია საზოგადოების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“. სასურველია პროგრამაში ამ საკითხის დაზუსტება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 28.10.2011 სხდომის №186 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას არ განუცდია ძირეული შინაარსობრივი ცვლილება; არ შეცვლილა პროგრამის მიზნები, მისაღწევი შედეგები, კურსდამთავრებულისთვის გამოსამუშავებელი კომპეტენციები.
თუმცა პროგრამას დაემატა რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი, რომლებიც პერსონალის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მიღებულ შედეგებს ეფუძნება. მაგალითად, „მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო“ (სავალდებულო); „იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში“ (სავალდებულო); „ისტორიული მეხსიერების ფორმირება პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“ (სპეციალობის არჩევითი),, „კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“(სპეციალობის არჩევითი); „კულტურული ტრავმა:; «ძირითადი სკოლები და კონცეფციები კულტურის კვლევებში“(სპეციალობის არჩევითი).

გარდა ამისა, ეტაპობრივად ხდებოდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილის გათვალისწინება და პროგრამაში ასახვა. მაგალითად, ერთ-ერთიი რეკომენდაცია ითვალისწინებდა არჩევითობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით კურიკულუმში სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ჩამონათვალის ასახვას, რომელიც გაზიარებულ იქნა, პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. კერძოდ, კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას დაემატა მოქმედი არჩევითი სასწავლო კურსები სხვა მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამებიდან.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება თსუ-ს მისიას, რომელიც გულისხმობს „ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისას, ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელებას; კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარებას; სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას“. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიკაციური სპეციალისტის მომზადებას, რომლებსაც ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა კულტურის ფენომენის კომპლექსურ მახასიათებლებზე, კულტურის კვლევების ფართო და ინტერდისციპლინური დარგის ძირითად ცნებებზე, მიმდინარეობებზე, თეორიულ მიდგომებზე და ა.შ. კურსდამთავრებულები უნდა - შეძლონ დარგის ემპირიული კვლევის მეთოდებით ოპერირება; დაეუფლონ ინტერდისციპლინური კვლევის მიდგომების და სხვადასხვა თეორიების საფუძველზე ემპირიული მასალის შეგროვების, კლასიფიკაციის და ანალიზის უნარ-ჩვევებს. აღიჭურვონ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც მათ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე. პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტუდენტის მიერ კულტურული განხვავებების და მრავალფეროვნების აღქმის, გაცნობიერების და პატივისცემის მიღწევაა. ამ თვალსაზრისით, პროგრამის ფარგლებში კულტურებს შორის დიალოგზე, სტერეოტიპების, ქსენოფობიის და რასიზმის გადალახვაზე აქცენტირება თავსდება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებას ხელშეწყობის გაცხადებულ მისიაში. პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია დარგის თავისებურებებისა და პროგრამის შინაარსიდან გამოდინარე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები • კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.
რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია მის მიზნებთან და განათლების საფეხურთან. კურსდამთავრებული ფლობს კულტურის კვლევების, როგორც ინტერდისციპლინური კვლევის სფეროს თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, იცნობს დარგის ძირითად მიმდინარეობებს და სკოლებს, ერკვევა მის საკვლევ პრობლემათა არეალში. მას შეუძლია დაინახოს მჭიდრო, მკაფიო თუ ლატენტური, კავშირები .კულტურის კომპლექსურ ფენომენსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს/ასპექტს შორის (ყოველდღიური ყოფა, სოციალური და პოლიტიკური პროცესები;

დამოკიდებულება წარსულთან და ა.შ.) კონკრეტული კულტურული სივრცის და ეპოქის კონტექსტში.

კულტურის კვლევების ბაკალავრს აქვს უნარი მოაგროვოს ემპირიული მასალა; შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურის კლასიფიკაცია და არგუმენტირებული ინტერპრეტაცია; მონაწილეობს საუდიტორიო თუ სხვა სახის აკადემიურ დისკუსიებში; აქვს შუალედური ნამუშევრის თუ საბოლოო-საკვალიფიკაციო ნაშრომის ზეპირად და წერილობით, შესაბამისი ფორმატის და წესების დაცვით, პრეზენტაციის და დასაბუთების უნარი. შეუძლია პრიორიტეტების გათვალისწინებით სამუშაო დროის და აქტივობების რაციონალური დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება.

კურსდამთავრებული აცნობიერებს პროფესიული პასუხისმგებლობას, იცავს ეთიკის პრინციპებს, როგორც საქმიანობაში, ასევე ინტერპერსონალურ ურთიერთობებში. იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, რაც გამოიხატება კულტურათაშორისი, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობის და მრავალფეროვნების, ასევე განსხვავებული აზრისა და არგუმენტების ადეკვატურად აღქმაში და პატივისცემაში.

ამგვარად, კურსდამთავრებული აღჭურვილია პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციებით, ცოდნითა და უნარებით, რომლებიც მას დასაქმების ან/და შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის შესაძლებლობას აძლევს.

პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან და ასევე გადიან სტაჟირებას სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგნიზაციებში. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავებაში და განვითარებაში ჩართული მხარეებისგან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, უცხოელი სპეციალისტი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი) შემდგარმა კულტურის კვლევების საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტში (შეიქმნა 2018 წ. 18 თებერვალს). 2018 წლის აპრილში ჩაატარა თსუ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა და 2016-2017 წლების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი პროფილური თუ არაპროფილური დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრის მიზნით, რაც იმაზე მიუთითეს, რომ კულტურის კვლევების სასწავლო-ვლევითი ინსტიტუტი და ზოგადად თსუ საგანგებოდ არის დაინტერესებული კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივით. თუმცა, როგორც აღნიშნულია *კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზში*, პროგრამის განმახორციელებლები საჭიროდ მიიჩნევენ და აპირებენ, ამ მიმართულებით გარკვეული საკითხების გაუმჯობესებას. კერძოდ ასეთ საკითხებად მიჩნეულია „შრომითი ბაზრის დეტალური ანალიზის სიმწირე, დამსაქმებლების არარეგულარული გამოკითხვა, პროგრამაში მათი ინტერესების უფრო ფართოდ ასახვის მიზნით; პროგრამის კურსდამთავრებულებთან კონტაქტის ნაკლებობა და არარეგულარული გამოკითხვა, მათი შრომითი გამოცდილების გათვალისწინების მიზნით“.

პროგრამით განსაზღვრული მიზნების და სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესს აკვირდება შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი მიმდინარეობს სტუდენტების გამოკითხვების, თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი მასალების, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და პროფესორთა შეფასებების დამუშავებისა და ანალიზით ფორმით. შედეგად, პროფესორებს ეძლევათ რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ხარისხის, მისაღწევი შედეგების უზრუნველყოფისა და სტუდენტთა შეფასების ფორმების დახვეწის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები
- კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.
- კულტურის კვლევების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისდაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი # 1 (17 აპრილი, 2018)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **კულტურის კვლევების** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე; ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე - ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პრაგრამაზე დაშვების წინაპირობა არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა მიყვება უსდ-ში აპრობირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პრინციპებს და მეთოდოლოგიას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, შინაარსი და სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან. პროგრამის სტრუქტურა ისეა შედგენილი, რომ ძირითადი/სავალდებულო და არჩევითი კურსები ლოგიკურად ავსებენ ერთმანეთს. სტუდენტებს საშუალება აქვთ სავალდებულო და მაპროფილებელი კურსების გავლის შემდეგ, მათი კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, გაიღრმავონ მიღებული ცოდნა რელევანტური არჩევითი კურსების ფართო რეპეტუარიდან.

სპეციალობის სავალდებულო კურსები (თითოეული 5 კრედიტი) საბაკალავრო ნაშრომთან (10 კრედიტი) ერთად ჯამში 65 კრედიტს (ECTS) მოიცავს. თითოეული სავალდებულო კურსი ფარავს კულტურის კვლევების ძირითად მიმართულებებს. საბაზისო შესავალი კურსები იძლევა კომპლექსური პრობლემატიკით და ინტერდისციპლინურობით გამორჩეული კულტურის კვლევების სფეროში ორიენტირების საშუალებას. გარდა ამისა, სტუდენტს თავიდანვე უყალიბდება კულტურის მრავალმხრივი ფენომენის და მისი კონკრეტული გამოვლინებების (კულტურული პრაქტიკები) ანალიზის პროცესში ადეკვატური ცნებითი აპარატით (ძირითადი ცნებები და ტერმინები) ოპერირების უნარი.

სხვა სავალდებულო კურსებში გამოკვეთილია კულტურის კვლევებისთვის ფუნდამენტური ასპექტები და პრობლემები, ამასთან, გათვალისწინებულია საქართველოს და კავკასიის რეგიონის სპეციფიკა. კერძოდ, შეთავაზებული სავალდებულო კურსების საკითხთა წრე მოიცავს: კულტურა, როგორც ისტორიული კვლევის ობიექტი ქართული კულტურის ისტორიის კონტექსტში; მსოფლიო ისტორია ლოკალურ ცივილიზაციათა თეორიის შუქზე; იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში; ინტერკულტურული დიალოგის პრინციპები; ნაციონალიზმის კულტურული ასპექტები; მრავალეთნიკური და მრავაკულტურული საქართველო; კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში; კულტურის გეოგრაფია; ისტორიის აღქმა, რეპრეზენტაცია და მეხსიერების პოლიტიკა.

ეს გლობალურად თუ ლოკალურად აქტუალური საკითხები კიდევ უფრო ღრმავდება და ქვე საკითხებად/პრობლემებად იშლება უკვე სპეციალობის არჩევით კურსებში (55 კრედიტი). შესაბამისად, სავალდებულო და არჩევითი კურსები შინაარსის და სტრუქტურის თვალსაზრისით ერთ მთლიანობას ქმნიან.

უფრო კონკრეტულად საქართველოს კულტურის ისტორის დაინტერესებულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს კურსები, რომლებიც ეხება სხვადასხვა ეპოქის საქართველოში მიმდინარე კულტურული პროცესებს და იდენტობის პრობლემებს. ესენია, „საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია IV-XI საუკუნეებში“; „ოქროს ხანის ქართული კულტურა: მიმართება აღმოსავლურ მუსლიმურ და დასავლურ სამყაროსთან“; „ქართული კულტურის განვითარების თავისებურებანი აღმოსავლურ-მაჰმადიანური გარემოცვის პირობებში (XVI-XVIII სს.)“; „საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება XIX საუკუნეში“; „საქართველოს კულტურა საბჭოთა პერიოდში: ძირითადი მახასიათებლები“; „დასავლეთის სახე საქართველოში დამოუკიდებლობის შემდეგ“.

დისციპლინის შესავალისა და ძირითადი ცნებების და ტერმინების კურსებს შეესაბამება არჩევითი კურსი „სკოლები და კონცეფციები კულტურის კვლევებში“;

ნაციონალიზმის კულტურული ასპექტებს - „ქართული ნაციონალიზმი კულტურული კონტექსტი“;

ისტორიის რეპრეზენტაციას და მეხსიერების პოლიტიკას - „ისტორიული მეხსიერების ფორმირება პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“, ასევე „კულტურული ტრავმა“.

მულტიკულტურულ და მრავალეთნიკურ გარემოში იდენტობის ფორმირების, ინტერკულტურული დიალოგის პრობლემატიკას - „ეთნიკური და რელიგიური იდენტობების ფორმირება საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე“.

პროგრამის სტრუქტურა ასევე ორგანულად თავსდება ზოგად საფაკულტეტო სავადებულო (20 კრედიტი (ECTS) და არჩევითი კურსების/მოდულების (ევროპული ენები, კლასიკური და აღმოსავლური ენა, შესავალი კურსები) სტრუქტურაში (ჯამში 30 კრედიტი (ECTS). შესაბამისად, პროგრამა სრულ თანხმობაშია საფაკულტეტო სასწავლო გეგმასთან.

რაც ასევე მნიშვნელოვანია, კულტურის კვლევების სპეციალობის სტუდენტს გარკვეული მიმართულებით ცოდნის გაღრმავების და დამატებითი კომპეტენციების მიღების მიზნით საშუალება ეძლევა აირჩიოს *რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საგაკალავრო პროგრამებიდან.* მაგალითად, „ქართული პოლიტიკური აზრი“, „კავკასიის შედარებითი პოლიტიკა“, „კულტურის ემპირიული კვლევები“ და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსი „კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“ ჩასმულია, როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსების სიაში. თუმცა არ არის ახსნილი რატომ. მხოლოდ მითითებულია, რომ ის „დამტკიცებულია თსუ ინტერდისციპლინური კვლევებისა და სწავლების ცენტრისა და ღია საზოგადოების უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა
- სილაბუსები
- კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 28.10.2011 სხდომის ოქმი № 186

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად („მოხდეს პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობისა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ლოგიკურობის სრულყოფა.“), სასწავლო გეგმაში მოხდა სასწავლო კურსების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, თუმცა მითითებულია მხოლოდ "შემოდგომა" -"გაზაფხულის" ფორმატი. სასურველია, ძირითადი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა დაზუსტდეს კონკრეტული სემესტრების მითითების მიხედვითაც (I, II, III და ა.შ.)

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 28.10.2011 სხდომის № 186 გადაწყვეტილებით. აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას არ განუცდია ძირეული შინაარსობრივი ცვლილება; არ შეცვლილა პროგრამის მიზნები, მისაღწევი შედეგები, კურსდამთავრებულისთვის გამოსამუშავებელი კომპეტენციები

თუმცა პროგრამას დაემატა რამდენიმე ახალი, კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სასწავლო კურსი, რომლებიც პერსონალის მიერ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში მიღებულ შედეგებს ეფუძნება. მაგალითად, „მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო“ (სავალდებულო); „იდენტობის ფორმირება მულტიკულტურულ გარემოში“ (სავალდებულო); „ისტორიული მეხსიერების ფორმირება პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“ (სპეციალობის არჩევითი), „კულტურული ტრანსფორმაცია პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“ (სპეციალობის არჩევითი); „კულტურული ტრავმა (სპეციალობის არჩევითი); «ძირითადი სკოლები და კონცეფციები კულტურის კვლევებში“ (სპეციალობის არჩევითი).

გარდა ამისა, ეტაპობრივად ხდებოდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გარკვეულ ნაწილის გათვალისწინება და პროგრამაში ასახვა. მაგალითად, ერთ-ერთიი რეკომენდაცია ითვალისწინებდა არჩევითობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით კურიკულუმში სპეციალობის არჩევითი დისციპლინების ჩამონათვალის ასახვას, რომელიც გაზიარებულ იქნა, პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ. კერძოდ, კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას დაემატა მოქმედი არჩევითი სასწავლო კურსები სხვა მომიჯნავე საბაკალავრო პროგრამებიდან.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის თითოული კურსის სწავლის შედეგები სრულ თანხმობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსების გავლის შემდეგ სტუდენტს უყალიბდება საბაზისო და მაპროფილებელი ცოდნა კომპლექსური და ინტერდისციპლინური კულტურის კვლევების არსის, კონცეპტუალური საფუძვლების, ცნებითი აპრატის, ძირითადი სკოლების და მიმდინარეობების შესახებ.

საკითხთა წრე ფართო და მრავალფეროვანია. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს, რომ კულტურული პროცესები ყველგან, მათ შორის ისტორიულ თუ თანამედროვე საქართველოში, ცვალებადი და დინამიური ფენომენია, რომელზეც სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას.

კურსდამთავრებულმა იცის კულტურასა და იდენტობას (ნაციონალური, რელიგიური და ა..შ) მჭიდრო და მრავალმხრივი ურთიერთმიმართების შესახებ. პროგრამის ფარგლებში კონკრეტული კურსები ამ ფართო პრობლემის ცალკეულ საკითხებს ეთმობა. ეს საკითხები ფარავს გლობალურ თუ ქართულ მაგალითებს, როგორც თანამედროვე კონტექსტში ისე, ისტორიულ ჭრილში. მაგალითად, საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია

და მიმართება აღმოსავლურ თუ დასავლური სამყაროსთან შუა საუკუნეებში; კულტურულ-ცივილიზაციური გარემოცვის ცვლილება XIX საუკუნეში; საბჭოთა პერიოდის ქართული კულტურა: დასავლეთის სახე დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში და ა.შ.. ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების საკითხი. კერძოდ, რამდენიმე კურსი ეხება მულტიკულტურულ გარემოში იდენტობის ფორმირებას, ინტერკულტურული დიალოგის პრინციპებს, მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საქართველოს. შედეგად სტუდენტები აცნობიერებენ განსხვავებული რელიგიური და კულტურული ჯგუფების თანაცხოვრების ისტორიულ გამოცდილებას. ზოგადად, მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და დიალოგის მნიშვნელობაზე აქცენტირება მნივნელოვანია თუ გავითვალისწინებთ პოსტ-საბჭოთა პერიოდის კონფლიქტების მემკვიდრეობას საქართველოში. შედეგად, კულტურის კვლევების ბაკალავრებს, როგორც წესი, გამომუშავებული აქვთ ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ჯგუფების მიმართ. კიდევ ერთი ძირითადი მიმართულება, რასაც პროგრამის კურსდამთავრებულები ეუფლებიან, არის ისტორიის აღქმის, რეპრეზენტაციის და მეხსიერების პოლიტიკის პრობლემა. ისინი აანალიზებენ სხვადასხვა კულტურებში ისტორიის ორგანიზების, წარსულის დამახსოვრებისა და აღქმის თავისებურებს. აგრეთვე, აცნობიერებენ, რომ ბევრ შემთხვევაში ისტორია პოლიტიკური ელიტის მხრიდან მანიპულირების იარაღი ხდება, რასაც ხშირად ეთნიკურ და რელიგიურ კონლიფქტებამდე მივყავართ. სილაბუსებში მითითებულია ამა თუ იმ საკითხის გარემო არსებული ფუნდამენტური, თანამედროვე და აქტუალური ლიტერატურა-სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება გაწერილ სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწდომია ა) კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, ბ) ამ სასწავლო კურსისათვის მომზადებულ რიდერში – იმავე ბიბლიოთეკაში, გ) სასწავლო მასალაში, რომელიც იტვირთება მისამართზე kulturiskvlevebi.weebly.com, დ) კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ვებ გვერდზე www.culturedialogue.com. იქვე მოიპოვება უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის შესაბამისი ნაწილების ქართული თარგმანი. ასევე, სასწავლო მასალათა რეპერტურში შედის სასწავლო ფილმები, რომლებიც ცალკეულ კურსით გათვალისწინებულ პრობლემებზე ეხმიანება. ბოლოს, კურსებით გათვალისწინებული სწავლების ფორმატი (ლექცია, სემინარი, დისკუსია, პრეზენტაცია, სამუშაო ჯგუფი და ა.შ.), კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი შესაბამისობაშია სწავლების შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სილაბუსები; ▪ სასწავლო გეგმა
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხშირ შემთხვევაში სილაბუსებში მითითებულია ათეულობით სავალდებულო ლიტერატურა. აქედან ყველა თითქმის მნიშვნელოვანი სტატია ან წიგნის/მონოგრაფიის ნაწილებია. ისმის კითხვა, რამდენად ესწრება ამ რაოდენობის სავალდებულო, დიდწილად უცხო ენოვანი, ლიტერატურის ათვისება საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მიერ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა პრიორიტეტის განსაზღვრა და კონკრეტული კურსისთვის ყველაზე რელევანტური ლიტერატურის დატოვება. ამ შემთხვევაში სტუდენტებს წაკითხულ ტექსტზე ჩარღმავებისთვის მეტი დრო და საშუალება მიეცემოდათ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს ზოგადი ჰუმანიტარული ცოდნითა და კონკრეტული კომპეტენციით კულტურის კვლევების სფეროში; ეხმარება დაინახოს, როგორ უკავშირდება კულტურული განვითარების პრობლემები პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებს ამა თუ იმ ეპოქაში; რამდენად დამოკიდებულია წარსულის აღქმა და რეპრეზენტაცია კონკრეტულ კულტურულ სივრცეზე; როგორ იცვლება სამეცნიერო ინტერესები, კატეგორიები და პრობლემები დროსთან ერთად; სტუდენტს უნდა შეეძლოს ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება, პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაწყვეტის

ხერხებისა და გზების შერჩევა; ჰქონდეს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და სინთეზის უნარი; შეეძლოს კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვა, თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა ზეპირი და წერილობითი ფორმით.
პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს უყალიბდება მულტიკულტურულ გარემოში ორიენტაციის, კომუნიკაციის, კულტურული განსხვავებებით განპირობებული კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილების უნარ-ჩვევები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, თანამედროვე გლობალურ სამყაროში, მეორე მხრივ კი საქართველოს მრავალეთნიკურ, მრავალკუტურულ და მრავალკონფესიურ რეალობაში წარმატებული თვითდამკვიდრებისათვის. კურსდამთავრებულთა სახით საზოგადოება შეიძენს გახსნილ, ტოლერანტულ, სტერეოტიპებისა და ცრურწმენებისგან თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც შეძლებენ შეძენილი ფასეულობები, ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ თანატოლებს და გამოიყენონ მომავალ ცხოვრებაში. ეს ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა
- სილაბუსი
- კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.). შეძენილი ცოდნის შემოწმებისა და პრაქტიკული გამოყენების ამოცანას ემსახურება საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც, ამავე დროს, საფუძველს უყრის დამოუკიდებელი კვლევის უნარის ჩამოყალიბებას.

პროგრამის სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
თითოეული სასწავლო კურსის სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

თითოეულ სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების სხვადასხვა კომპონენტის პროცენტული / ქულობრივი შეფარდება, მაგ.:

- სასემინარო აქტივობა – 20%;
- 1 პრეზენტაცია - 10%
- შუალედური გამოცდა (კოლოკვიუმი) –30%
- საბოლოო წერითი გამოცდა – 40%. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (20 ქულა).

და ა.შ.

FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

თითოეულ სილაბუსში გაწერილია სტუდენტის შეფასების სხვადასხვა კომპონენტის ქულათა დეტალური რანჟირება, მაგ.:

1. **9-10/19-20/25-30 ქულა:** პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.
2. **7-8/15-18/20-24 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.
3. **5-6/11-14/15-19 ქულა:** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.
4. **3-4/5-10/10-14 ქულა:** პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.
5. **1-2/1-4/1-9 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამმისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის სემესტრული შეფასება არ უნდა იყოს 11%-ზე ნაკლები.

კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტების შეფასების მეთოდები შეესაბამება კურსის სპეციფიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაზომვას. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალედ და კანონმდებლობასთან შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტის ფინალურ გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის სემესტრული შეფასების არანაკლებ 11%, რაც წინასაგამოცდო 60%-დან (60 ქულიდან) მხოლოდ 6 ქულაა. სასურველია აიწიოს გამოცდაზე დაშვების სემესტრული შეფასების მინიმალური ზღვარი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	×			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ ამ დარგში კვალიფიკაციური და შესაბამისი კომპეტენციის, აკადემიური და სამეცნიერო ხარისხის მქონე პროფესორ-მასწავლებლებები.
აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამით განსაზღვრული სწავლის მიზნების, სასწავლო გეგმისა და მისაღწევი შედეგების ადეკვატურია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის 5 წევრი, აფილირებული აკადემიური პერსონალი. აქედან ერთი სრული პროფესორი, ორი ასოცირებული პროფესორი, ორი ასისტენტ-პროფესორი. მთლიანობაში პერსონალის რაოდენობა გონივრულ თანაფარდობაშია სტუდენტების რაოდენობასთან.
საბაკალავრო პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონდე 57 სტუდენტი (2014 და შემდგომ წლებში ჩარიცხული) სწავლობს.

პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი მუდმივად ზრუნავს აკადემიურ განვითარებაზე. პროფესორები ჩართული არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით და სასწავლო პროექტებში. მათი კვლევითი საქმიანობის შედეგები ასახულია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მაღალრეიტინგულ აკადემიურ გამოცემებსა და უცხოელ კოლეგებთან ერთად შექმნილ კრებულებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.
პროფესორები რეგულარულად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ ფორუმებში (კონფერენციებში,სიმპოზიუმები, დისკუსიები), კითხულობენ ლექციებს სეზონურ სკოლებში საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში. აღსანიშანვია რომ პროგრამის განმახორციელებლი ოთხი პროფესორი, ევროკავშირისა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგების გავლის შედეგად, ინტერკულტურული კომუნიკაციის ტრენერი და ტრენერთა ტრენერი გახდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- CV
- კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ზოგადი ანალიზი

• მონაცემები აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობის მაჩვენებები (მოწოდებული უსდ მიერ დაამტებითი მოთხოვნის შედეგად)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) კულტურის კვლევების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ არ შეცვლილა პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალი შემადგენლობა. ერთერთმა მათგანმა, რომელიც იკავებდა პროფესორის ასისტენტის თანამდებობას და დოქტორანტი გახლდათ, წარმატებით დაიცვა სადოქტორო ნაშრომი და მოიპოვა კულტურის კვლევათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, რის შემდეგ დაიკავა ასისტენტ პროფესორის თანამდებობა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კულტურის კვლევები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 24

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	×			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	×			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - 4.1. ადამიანური რესურსი	×			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /მალხაზ თორია/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა /ანა სამსონაძე/